



**საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო**

ანგარიშის პერიოდი: 2016 წლის ივნისი - აგვისტო

**ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2016 წლის ივნისი - აგვისტოს
პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები**

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისათვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პორები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლება

საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლებასთან დაკავშირებული მომდევნო ნაბიჯები და საპროცედურო ნორმები წარდგენილ იქნა და შეთანხმდა წევრებთან 2016 წლის 9 მარტს გამართულ ქსს-ს 82-ე სხდომაზე. მოხდა კანდიდატების ნომინირება. გეგმის მიხედვით, 2016 წლის 15 ივნისის, ქსს-ს 83-2 სხდომაზე, გაიმართა აღნიშნული საკითხის განხილვა, დამტკიცდა საზედამხედველო კომიტეტის განახლებული შემადგენლობა.

საზედამხედველო საქმიანობა/ქსს-ს სხდომები

2016 წლის 13 ივლისს გაიმართა განახლებული საზედამხედველო კომიტეტის პირველი შეხვედრა. ახლად არჩეულ წევრებს წარედგინათ ზედამხედველობის ძირეული პრინციპები

და საზედამხედველო ინსტრუმენტი „დეშბორდი“, გაიმართა დეტალური განხილვა. მოხდა საზედამხედველო კომიტეტის თავჯდომარის კანდიდატურის ნომინირება. კანდიდატურა წარედგინა და დამტკიცდა ქსს-ს მიერ. მოხდა რეგიონული პროგრამის „ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ!“ საზედამხედველო კომიტეტის წევრის კანდიდატურის ნომინირება. კანდიდატურა წარედგინა და დამტკიცდა ქსს-ს მიერ. შეხვედრაზე დამტკიცდა საზედამხედველო კომიტეტის 2016 წლის თებერვლის-2017 წლის მარტის პერიოდის განახლებული სამუშაო გეგმა.

ანგარიშების პერიოდში გაიმართა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ერთი სხდომა (ქსს-ს 83-ე სხდომა, 2016 წლის 15 ივნისი). განხილულ იქნა გლობალური ფონდის გრანტების მიმდინარე სტატუსი. სხდომაზე დამტკიცდა გარდამავალი/მდგრადობის გეგმის მონახაზი და საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობა. ქსს-ს საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში ქსს-ს მიეწოდა ელ-ფოსტის მეშვეობით, ელექტრონულ ფორმატში დამტკიცდა აივ გრანტის 1 პერიოდის და ტბ გრანტის მე-8 პერიოდის დეშბორდის რეკომენდაციები.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (პასკ)

პასკ-ის მე-3 შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 27 ივნისს. შეხვედრას ესწრებოდა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერი, ქ-ნი წოვინარ საკანიანი. დამსწრე საზოგადოებას წარედგინა გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ უახლესი ინფორმაცია. გადაწყდა, რომ პასკი გააგრძელებს მუშაობას გარდამავალ გეგმაზე ქსს-ს 83-ე სხდომაზე დამტკიცებულ მონახაზზე დაყრდნობით. პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი საერთაშორისო ფონდ კურაციოსთან კოორდინაციაში მოახდენს შერჩეულ თემაზე თემატური განხილვების ფასილიტაციას.

2016 წლის 27 ივლისს გაიმართა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებული დაინტერესებული მხარეების საორიენტაციო შეხვედრა, რომელიც მიემდგვნა გარდამავალ გეგმაში ზიანის შემცირების და სარეაბილიტაციო სერვისების ინტეგრირებას. შეხვედრის მიზანი იყო ინტერვენციების, მოცვის, განფასების და პასუხისმგებელი ინსტიტუციების ჭრილში სერვისების პაკეტის განხილვა და შეთანხმება.

ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფი ტბ პრევენციის საკითხში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის განსახილველად. თემატური ჯგუფის შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 8 აგვისტოს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, გლობალური ფონდის ტბ პროექტის განმახორციელებელი გუნდი, ქსს-ს და საერთაშორისო ფონდ კურაციოს ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო გარდამავალი პერიოდის გეგმის შემუშავების პროცესის განხილვა და პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გაძლიერება. გადაწყდა, რომ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან კონსულტაციები წარიმართება უწყვეტი რეჟიმის ფორმატში.

2016 წლის 22 აგვისტოს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ზიანის შემცირების საგარეველოს ქსელის ფინანსურ ექსპერტთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, სამდივნო, პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი. პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი, მე-4 შეხვედრა დაიგეგმა 2016 წლის 7 სექტემბრისათვის.

გლობალური ფონდის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში.

2016 წლის 23-28 ივნისს საქართველოში იმყოფებოდნენ გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერი და ქვეყნის გუნდის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტის წევრებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, ჩატარდა ტუბერკულოზის გრანტი მზადების სესია და wambo.org (ელექტრონულ შესყიდვების პლატფორმა) ტრენინგი.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციი ჯგუფის შეხვედრა

2016 წლის 22 აგვისტოს გაიმართა ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა კვლევების მიმდინარე სტატუსი.

გლობალური ფონდის გრანტები

დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში გლობალური ფონდის მიერ დამტკიცდა GEO-H-NCDC გრანტი. საქართველოს მთავრობის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცების შემდეგ საგრანტო დადასტურებას მოეწერა ხელი.

მოხდა GEO-H-GPIC გრანტის დახურვა. გრანტის დახურვის წერილი მიღებულ იქნა 2016 წლის 17 აგვისტოს.

გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა GEO-T-NCDC გრანტის 6-თვიანი გაგრძელება (არახარჯვითი). გრანტის განხორციელების პერიოდი გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

ქსს-ს მოთხოვნის თანახმად გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა ყოფილი ძირითადი მიმღების, გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის მიერ საგრანტო ხელშეკრულებების #GEO-T-NCDC და #GEO-H-NCDC პირველი ფაზის ფარგლებში შეძენილი აქტივების პროგრამის განმახორციელებლებისადმი/სერვისის მიმწოდებლებისადმი უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი.

2016 წლის 20 სექტემბერი

ანგარიში შედგენილია ქსს-ს სამდივნოს მიერ